1973/2

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარიელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს ფურცელი

№ 8 (391)

1973 წლის აგვისტო

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს გამოცემა

თბილისი

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს
უწყებები

№ 8 (391) აგვისტო 1973 წელი

შინაარსი

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ზოგიერთი ბრძანებულების შესახებ.

განყოფილება პირველი

154. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სასოფლო, სადაბო საბჭოს მუდმივი კომისიების დებულების დამტკიცების შესახებ.
155. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. შ. ზედგინიძის საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრად დანიშვნის შესახებ.
156. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. შ. ა. სალარიძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.
157. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. ა. დვალიშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.
158. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. თ. დოლიძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ.
159. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. პ. ზედგინიძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ.

განყოფილება მეორე

160. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლიკ.
ბიბლიოთეკა

161. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

162. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

163. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. მ. ა. გვასალიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

164. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. გ. პ. ბრეგვაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

165. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ზ. პ. ჩიქვილაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

166. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ა. მ. რაბინოვიჩის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

167. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. რ. გ. შანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

168. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ნ. ვ. გაბაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

169. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ნ. პ. ვეკუას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

170. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა პროფესორ ი. ი. მირცხულავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

171. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ნ. ი. ციციშვილი-ვაშაკიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

განყოფილება მესამე

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ცვლილების შეტანის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ზოგიერთი ბრძანებულების შესახებ

*

* *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1973 წლის 25 ივნისს მიიღო ბრძანებულება „დანაშაულებრივი მოქმედების შედეგად დაზარალებულ მოქალაქეთა მკურნალობისათვის დახარჯული სახსრების ანაზღაურების შესახებ“.

ბრძანებულებით დადგენილია, რომ სახსრები, რომლებიც დაიხარჯა იმ მოქალაქეთა სტაციონარული მკურნალობისათვის, რომელთა ჯანმრთელობა დაზიანდა განზრახი დანაშაულებრივი ქმედობის შედეგად (გამონაკლისი შემთხვევების გარდა, როცა დამნაშავე ზიანს მიაყენებს დაზარალებულს იმის გამო, რომ მან გადააჭარბა აუცილებელი თავდაცვის ფარგლებს, ან დაზარალებულის არამართლზომიერმა ქმედობამ უეცრად გამოიწვია დამნაშავის ძლიერი სულიერი მღელვარება), სახელმწიფოს შემოსავალში გადაახდევინონ იმ პირებს, რომლებიც მსჯავრდებული არიან ამ დანაშაულისათვის.

დანაშაულებრივი ქმედობის შედეგად დაზარალებულ მოქალაქეთა სტაციონარული მკურნალობისათვის დახარჯულ სახსრებს ახდევინებს სასამართლო განაჩენის გამოტანის დროს სისხლის სამართლის საქმის მასალების საფუძველზე. თუ სამოქალაქო სარჩელი წარდგენილი არ ყოფილა, სასამართლოს უფლება აქვს განაჩენის გამოტანის დროს საკუთარი ინიციატივით გადაწყვიტოს აღნიშნული სახსრების გადახდევინების საკითხი.

იმ შემთხვევაში, თუ განაჩენის გამოტანის დროს არ მიუღიათ გადაწყვეტილება ამ სახსრების გადახდევინების შესახებ, მათი გადახდევინება ხდება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

დანაშაულებრივი ქმედობის შედეგად დაზარალებულ პირთა მკურნალობისათვის დახარჯული სახსრების გაანგარიშების განაკვეთები განისაზღვრება სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით.

№ 8
ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1973 წლის 29 ივნისს მიიღო ბრძანებულება „იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სამედიცინო სამსახურებს ენიჭებათ სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიტარიულ-ეპიდემიასაწინააღმდეგო წესების დარღვევისათვის დაჯარიმების უფლება“.

ამ ბრძანებულებით, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სამედიცინო სამსახურებს, რომლებიც ახორციელებენ სანიტარიულ ზედამხედველობას, მიენიჭათ უფლება სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს სამხედროთა დასახლებისა და საწვრთნელი ცენტრების ტერიტორიაზე განლაგებულ ობიექტებზე, აგრეთვე სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტისადმი დაქვემდებარებულ ობიექტებზე, შესაბამისად, სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიტარიულ-ეპიდემიასაწინააღმდეგო წესების დარღვევისათვის დააღონ ჯარიმა ადმინისტრაციული კომისიების გარეშე.

დაწესდა, რომ დამნაშავე თანამდებობის პირთ (სამხედრო მოსამსახურეების, აგრეთვე სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების რიგითი და უფროსი შემადგენლობის პირების გარდა) ზემოაღნიშნულ ჯარიმას ადებენ თანამდებობის პირნი, რომლებიც ახორციელებენ სანიტარიულ ზედამხედველობას:

სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს მთავარი ეპიდემიოლოგი და მისი მოადგილე — 30 მანეთამდე; სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური ლაბორატორიის უფროსი, აგრეთვე სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა სახეობების, სამხედრო ოლქების, საჰაერო თავდაცვის ოლქების, ჯარებისა და ფლოტების ჯგუფების მთავარი ეპიდემიოლოგები — 20 მანეთამდე;

სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სადგურის უფროსი და მისი მოადგილე, აგრეთვე სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური რაზმის უფროსი — 30 მანეთამდე; მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების შინაგან საქმეთა სამინისტროებისა და მშრომელთა დეპუტატების სამხარეო, საოლქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების შინაგან საქმეთა სამმართველოების სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სადგურების უფ-

№ 6
ეროვნული
ბიბლიოთეკა

* * *

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა 1973 წლის 29 ივნისს მიიღო ბრძანებულება „იმის შესახებ, რომ სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სამედიცინო სამსახურებს ენიჭებათ სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიტარიულ-ეპიდემიასაწინააღმდეგო წესების დარღვევისათვის დაჯარიმების უფლება“.

ამ ბრძანებულებით, სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სამედიცინო სამსახურებს, რომლებიც ახორციელებენ სანიტარიულ ზედამხედველობას, მიენიჭათ უფლება სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს სამხედროთა დასახლებისა და საწვრთნელი ცენტრების ტერიტორიაზე განლაგებულ ობიექტებზე, აგრეთვე სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტისადმი დაქვემდებარებულ ობიექტებზე, შესაბამისად, სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიტარიულ-ეპიდემიასაწინააღმდეგო წესების დარღვევისათვის დააღონ ჯარიმა ადმინისტრაციული კომისიების გარეშე.

დაწესდა, რომ დამნაშავე თანამდებობის პირთ (სამხედრო მოსამსახურეების, აგრეთვე სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოების რიგითი და უფროსი შემადგენლობის პირების გარდა) ზემოაღნიშნულ ჯარიმას ადებენ თანამდებობის პირნი, რომლებიც ახორციელებენ სანიტარიულ ზედამხედველობას:

სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს მთავარი ეპიდემიოლოგი და მისი მოადგილე — 30 მანეთამდე; სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური ლაბორატორიის უფროსი, აგრეთვე სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა სახეობების, სამხედრო ოლქების, საჰაერო თავდაცვის ოლქების, ჯარებისა და ფლოტების ჯგუფების მთავარი ეპიდემიოლოგები — 20 მანეთამდე;

სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სადგურის უფროსი და მისი მოადგილე, აგრეთვე სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური რაზმის უფროსი — 30 მანეთამდე; მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების შინაგან საქმეთა სამინისტროებისა და მშრომელთა დეპუტატების სამხარეო, საოლქო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების შინაგან საქმეთა სამმართველოების სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სადგურების უფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

როსები, აგრეთვე შრომა-გასწორების დაწესებულებათა სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სადგურების უფროსები — 20 მანეთამდე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური სადგურის უფროსი და მისი მოადგილე, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ჯარების მთავარი ეპიდემიოლოგი — 30 მანეთამდე ოდენობით; მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტების სამედიცინო სამსახურთა უფროსები, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტების სამხარეო და საოლქო საქმართველოთა სამედიცინო სამსახურების უფროსები, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ჯარების სანიტარიულ-ეპიდემიოლოგიური რაზმების უფროსები — 20 მანეთამდე;

ბრძანებულების პირველ მუხლთან დაკავშირებით „ადმინისტრაციული წესით დაჯარიმების გამოყენების შემდგომი შეზღუდვის შესახებ“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს 1961 წლის 21 ივნისის ბრძანებულების მე-13 მუხლში, სიტყვები: „სახელმწიფო სანიტარიული ინსპექციის ორგანოებს — სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიტარიულ-ეპიდემიასაწინააღმდეგო წესების დარღვევისათვის“ შეიცვალა სიტყვებით: „ორგანოებსა და დაწესებულებებს, რომლებიც ახორციელებენ სახელმწიფო სანიტარიულ ზედამხედველობას, და სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სამედიცინო სამსახურებს, რომლებიც ახორციელებენ სანიტარიულ ზედამხედველობას, — სანიტარიულ-ჰიგიენური და სანიტარიულ-ეპიდემიასაწინააღმდეგო წესების დარღვევისათვის“.

განყოფილება პირველი

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

154 საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სასოფლო, სადაბო საბჭოს მუდმივი კომისიების დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. დამტკიცდეს საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სასოფლო, სადაბო საბჭოს მუდმივი კომისიების დებულება.

2. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1956 წლის 26 სექტემბრის ბრძანებულებით დამტკიცებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

„საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, სასოფლო და სადაბო საბჭოების მუდმივი კომისიების დებულება“.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 26 ივლისი.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სასოფლო, სადაბო საბჭოს მუდმივი კომისიებისა

I. ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სასოფლო, სადაბო საბჭოს მუდმივი კომისიები წარმოადგენენ საბჭოს ორგანოებს, რომელთა მიზანია აქტიურად შეუწყონ ხელი საბჭოს გამგებლობაში მყოფი საკითხების წინასწარ განხილვასა და მომზადებას, საბჭოს, მისი აღმასრულებელი კომიტეტისა და ზემდგომი სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებათა შესრულების კონტროლსა და მათ განხორციელებას.

მუხლი 2. მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სასოფლო, სადაბო საბჭოს მუდმივი კომისიების ძირითადი ამოცანებია:

შეიმუშაონ წინადადებანი საბჭოს და მისი აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველად;

მოამზადონ დასკვნები მშრომელთა დეპუტატების საბჭოს და მისი აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველად წარდგენილ საკითხებზე;

მონაწილეობა მიიღონ ორგანიზატორულ მუშაობაში საბჭოს, მისი აღმასრულებელი კომიტეტისა და ზემდგომი სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის;

კონტროლი გაუწიონ იმას, თუ როგორ ახორციელებენ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სასოფლო, სადაბო საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებები და სამმართველოები, საწარმოები, კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები, დაწესებულებები და ორგანიზაციები საბჭოს, მისი აღმასრულებელი კომიტეტისა და ზემდგომი სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებებს, აგრეთვე როგორ იცავენ სსრ კავშირის, საქართველოს სსრ კანონმდებლობას, ხოლო აფხაზეთისა და აჭარის ასს რესპუბლიკებში, ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობას.

მუხლი 3. მუდმივ კომისიებს ქმნის მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სასოფლო, სადაბო საბჭო დეპუტატთა რიცხვიდან თავისი უფლებამოსილების ვადით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუდმივი კომისიები პასუხისმგებელნი და ანგარიშვალდებულნი არიან საბჭოს წინაშე, რომელმაც ისინი აირჩია.

მუხლი 4. მუდმივ კომისიებს ირჩევენ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სასოფლო, სადაბო საბჭოები თავმჯდომარის და კომისიის წევრთა შემადგენლობით. მუდმივი კომისია თავის წევრთაგან ირჩევს კომისიის მდივანს, ხოლო საჭიროების შემთხვევაში — კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს;

მუდმივი კომისიების რაოდენობასა და თითოეული კომისიის რიცხობრივ შემადგენლობას განსაზღვრავს მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საბჭო.

მუხლი 5. მუდმივი კომისიების შემადგენლობაში არ შეიძლება არჩეულ იქნენ დეპუტატები, რომლებიც შედიან საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის შემადგენლობაში, აგრეთვე სახალხო მოსამართლე, ოლქის, რაიონის, ქალაქის პროკურორი.

საბჭოს დეპუტატი, თუ იგი აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილების გამგეა ან სამმართველოს უფროსია, შეიძლება არჩეულ იქნეს იმ მუდმივი კომისიის შემადგენლობაში, რომლის საქმიანობა დაკავშირებული არ არის მისი განყოფილების ან სამმართველოს მუშაობასთან.

მუდმივი კომისიის თავმჯდომარედ, თავმჯდომარის მოადგილედ და მდივნად არ შეიძლება არჩეულ იქნეს დეპუტატი, რომელიც ხელმძღვანელობს საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებას ან სამმართველოს.

მუხლი 6. მუდმივი კომისიები თავიანთ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ სსრ კავშირის კონსტიტუციით, საქართველოს სსრ კონსტიტუციით, მშრომელთა დეპუტატების რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სასოფლო, სადაბო საბჭოს შესახებ საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის და საქართველოს სსრ მოქმედი კანონმდებლობით, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებითა და დადგენილებებით, სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოების დადგენილებებით, ამ დებულებით და საბჭოს გადაწყვეტილებებით, ხოლო აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასს რესპუბლიკაში, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციებითა და კანონმდებლობით, ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებებითა და დადგენილებებით და მინისტრთა საბჭოს დადგენილებებით.

მუხლი 7. მუდმივი კომისიები თავიანთ მუშაობაში ეყრდნობიან საზოგადოებრივ თვითმოქმედ ორგანიზაციებს, სპეციალისტებსა და ფართო აქტივს.

მუდმივი კომისიები მოქმედებენ კოლეგიალობისა და საჯაროობის პრინციპის საფუძველზე.

მუხლი 8. მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭო ქმნის სამანდატო, საგეგმო-საბიუჯეტო, სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის, ახალგაზრდობის საქმეთა კომისიებს; სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ერთ ან რამდენიმე დარგში, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, მას შეუძლია შექმნას აგრეთვე შემდეგი მუდმივი კომისიები:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების;
მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების;
კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის;
ბუნების დაცვის.

მუხლი 11. მშრომელთა დეპუტატების სასოფლო, სადაბო საბჭო ქმნის სამანდატო, საგეგმო-საბიუჯეტო კომისიებს და აგრეთვე, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით მას შეუძლია შექმნას შემდეგი მუდმივი კომისიები:

სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის;
ახალგაზრდობის საქმეთა;
სოფლის მეურნეობისა და ბუნების დაცვის;
მშენებლობისა და კეთილმოწყობის;
სახალხო განათლებისა და კულტურის;
ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფისა და ფიზიკური კულტურის;
ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების;

საჭიროების შემთხვევაში მშრომელთა დეპუტატების საბჭოებს შეუძლიათ შექმნან სხვა მუდმივი კომისიებიც.

II. მუდმივი კომისიების უფლებები და მოვალეობანი

მუხლი 12. მუდმივი კომისიები მოქმედებენ მშრომელთა დეპუტატების შესაბამისი საბჭოს დავალებით, საკუთარი ინიციატივით და აგრეთვე საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის რეკომენდაციით.

მუხლი 13. მშრომელთა დეპუტატების საბჭოების მუდმივი კომისიები:

ა) წინასწარ იხილავენ საკითხებს, რომლებსაც აღმასრულებელი კომიტეტი ან დეპუტატები, აგრეთვე სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები განსახილველად წარუდგენენ საბჭოს, იძლევიან მათს შესახებ დასკვნებს, მონაწილეობენ გადაწყვეტილებათა პროექტების შემუშავებაში და საბჭოს სესიებზე და აღმასკომის სხდომებზე გამოდიან თანამოხსენებებით;

ბ) საჭიროების მიხედვით საბჭოს ან მის აღმასრულებელ კომიტეტს განსახილველად წარუდგენენ სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის საკითხებს, ამზადებენ გადაწყვეტილებათა პროექტებს და გამოყოფენ მომხსენებლებსა და თანამომხსენებლებს;

გ) მინიჭებულ უფლებათა ფარგლებში ამოწმებენ საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებისა და სამმართველოების, საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებული კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებების და სხვა ორგანიზაციების საქმიანობას, წინადადებებს შემოწმების შედეგების შესახებ განსახილველად წარუდგენენ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელებს, საჭიროების შემთხვევაში კი საკითხი შეაქვთ საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) მონაწილეობენ მეურნეობის განვითარებისა და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ნაკრები პერსპექტიული და წლიური გეგმების, ბიუჯეტის შემუშავებაში და მისი შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვაში იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც მის გამგებლობაშია;

ე) ეწევიან ორგანიზაციულ მუშაობას საბჭოს, მისი აღმასრულებელი კომიტეტისა და ზემდგომი სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად; კონტროლს უწევენ საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებების და სამმართველოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციების საქმიანობას საბჭოს, მისი აღმასრულებელი კომიტეტისა და ზემდგომი სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებათა განხორციელების საქმეში, აგრეთვე სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ კანონმდებლობის დაცვას;

ვ) ამოწმებენ ამომრჩეველთა განაწესების შესრულებას, სწავლობენ მოქალაქეთა საზოგადოებრივ აზრს უმნიშვნელოვანეს საკითხებზე და შეაქვთ თავიანთი წინადადებანი საბჭოს და მისი აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველად;

ზ) ეწევიან მუშაობას სოფლის მეურნეობის, ადგილობრივი მრეწველობის განვითარების, საბინაო, კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის განვითარებისათვის, მოსახლეობის სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით დამატებითი შესაძლებლობების და რეზერვების გამოსავლინებლად, ამ საკითხებზე ამზადებენ წინადადებებს და შეაქვთ ისინი საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველად;

თ) მონაწილეობენ მოწინავე გამოცდილებისა და შრომის პროგრესული მეთოდების განზოგადებასა და გავრცელებაში; მრეწველობის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების, საყოფაცხვრებო მომსახურებისა და სახალხო მეურნეობისა და კულტურის სხვა დარგების მუშაკთა შორის სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციაში;

ი) ხელს უწყობენ საბჭოს და მის აღმასრულებელ კომიტეტს მოქალაქეთა წინადადებების, განცხადებებისა და საჩივრების განხილვაში.

მუხლი 14. მუდმივ კომისიებს უფლება აქვთ:

მოისმინონ თავიანთ სხდომებზე საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებისა და სამმართველოების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, საწარმოთა, დაწესებულებათა და სხვა ორგანიზაციათა ხელმძღვანელების მოხსენებები მათ გამგებლობაში შემავალ საკითხებზე და მისცენ მათ რეკომენდაციები.

მუდმივი კომისიების რეკომენდაციები აუცილებლად უნდა განიხილონ საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებისა და სამმართველოების, საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებული კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოთა, დაწესებულებათა და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა. განხილვის შედეგების ან მიღებული ზომების შესახებ მუდმივ კომისიას უნდა ეცნობოს არაუგვიანეს ორი კვირისა ან კომისიის მიერ დადგენილ ვადაში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) საჭიროების შემთხვევაში მოსთხოვონ აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებისა და სამმართველოების, საბჭოს ტერიტორიაზე განლაგებული კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებებისა და სხვა ორგანიზაციების ხელმძღვანელებს სათანადო მასალები და ცნობები;

გ) სესიაზე შეკითხვით მიმართონ აღმასკომს, მისი განყოფილებების, სამმართველოების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს.

III. ცალკეული მუდმივი კომისიების გამგებლობის საკითხები

მუხლი 15. სამანდატო კომისია:

ა) ამოწმებს საბჭოს დეპუტატთა რწმუნებებს და საბჭოს განსახილველად წარუდგენს წინადადებებს არჩეული დეპუტატების რწმუნებათა ცნობის შესახებ ან ცალკეული დეპუტატების არჩევნების გაუქმების შესახებ.

ბ) ამზადებს და საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში შეაქვს წინადადებები გასულ დეპუტატთა ნაცვლად საბჭოს დეპუტატთა არჩევნების მოწყობის საკითხებზე;

გ) იძლევა დასკვნებს დეპუტატთა ხელშეუხებლობასთან და გაწვევასთან დაკავშირებულ საკითხებზე, აგრეთვე დეპუტატთა განცხადებებზე დეპუტატის მოვალეობის შესრულებისაგან მათი განთავისუფლების შესახებ, ან სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლასთან დაკავშირებით იმ პირთა მიმართ, რომლებიც დეპუტატებად იყვნენ არჩეულნი.

მუხლი 16. საგეგმო-საბიუჯეტო კომისია:

ა) განიხილავს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ საბჭოს დასამტკიცებლად შეტანილ მეურნეობის განვითარებისა და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ნაკრებ პერსპექტიულ და წლიურ გეგმებს და იძლევა მათზე თავის დასკვნას;

ბ) განიხილავს აღმასრულებელი კომიტეტის მიერ საბჭოს დასამტკიცებლად შეტანილ ბიუჯეტს, ანგარიშს მისი შესრულების შესახებ და იძლევა მათზე თავის დასკვნას;

გ) განიხილავს და ათანხმებს საბჭოს სხვა მუდმივი კომისიებისაგან შემოსულ შენიშვნებსა და წინადადებებს მეურნეობის განვითარებისა და სოციალურ-კულტურული მშენებლობის გეგმების, ბიუჯეტისა და მისი შესრულების ანგარიშის შესახებ;

დ) ეწევა მუშაობას შიდასამეურნეო რეზერვებისა და ბიუჯეტის დამატებითი შემოსავლის გამოვლენისა და სახელმწიფო სახსრების ხარჯვისას ეკონომიის რეჟიმის გაძლიერებისათვის;

ე) ახორციელებს კონტროლს მეურნეობის განვითარებისა და სოციალურ-კულტურული მშენებლობის გეგმებისა და ბიუჯეტის შესრულებაზე;

ვ) მონაწილეობს საბჭოს და მისი აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველად შეტანილი სხვა საგეგმო და საბიუჯეტო-საფინანსო საკითხების მომზადებაში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზ) ხელს უწყობს მოსახლეობისაგან გადასახადის, სადაზღვევო ბეგრის გადასახდელების შეტანის უზრუნველყოფას;

თ) ამოწმებს საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ საფინანსო დისციპლინის დაცვას და კოლმეურნეობის საერთო კრების მიერ მიღებულ ფინანსურ-საწარმოო გეგმის შესრულებას.

მუხლი 17. სოციალისტური კანონიერებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის კომისია:

ა) მონაწილეობს ოლქის, რაიონის, ქალაქის, სასოფლო და სადაბო საბჭოს ტერიტორიაზე სოციალისტური კანონიერების უზრუნველყოფისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებაში;

ბ) იძლევა დასკვნას საბჭოს იმ გადაწყვეტილებათა პროექტებზე, რომლებიც ითვალისწინებენ ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას მათი დარღვევისათვის;

გ) მონაწილეობს საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის განყოფილებებსა და სამმართველოებში, კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, საწარმოებში, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში სოციალისტური კანონიერების დაცვის შემოწმებაში, ახორციელებს კონტროლს მშრომელთა საჩივრების, განცხადებებისა და წერილების სწორ და დროულ განხილვაზე, მოქალაქეთა მიღების ორგანიზაციაზე;

დ) ხელს უწყობს სახალხო რაზმეულების, ამხანაგური სასამართლოებისა და სხვა ორგანიზციების საქმიანობის გაუმჯობესებას;

ე) მონაწილეობს მოქმედი კანონმდებლობის განმარტებაში და მშრომელთა სოციალისტური თანაცხოვრების წესების და კომუნისტური მორალის ნორმების დაცვის სულიკვეთებით აღზრდაში;

ვ) აკონტროლებს ოლქის, რაიონის, ქალაქის, სოფლის, დაბის საბჭოების ტერიტორიაზე მოქმედი კანონმდებლობის დაცვას.

მუხლი 18. ახალგაზრდობის საქმეთა კომისია:

ა) ამზადებს და საბჭოს და მისი აღმასრულებელი კომიტეტის განსახილველად შეაქვს გადაწყვეტილებათა პროექტები და სხვა წინადადებები ახალგაზრდობის აღზრდის, განათლების, პროფესიული სწავლების, შრომის, ყოფაცხოვრების, დასვენებისა და ჯანმრთელობის დაცვის, სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურულ მშენებლობაში მისი მონაწილეობის საკითხებზე; ახორციელებს კონტროლს სკოლადამთავრებულთა შრომითს მოწყობაზე;

ბ) წინასწარ განიხილავს საბჭოსა და მისი აღმასრულებელი კომიტეტის მიერ დასკვნისათვის გადაცემულ გადაწყვეტილებათა პროექტებს კომისიის გამგებლობის საკითხებზე და ამზადებს შესაბამის დასკვნებს;

გ) ხელს უწყობს ახალგაზრდობაში სამხედრო-პატრიოტული და თავდაცვით-მასობრივი მუშაობის ჩატარებას; აწყობს ახალგაზრდობის შეხვედრებს საზოგადო, კულტურისა და მეცნიერების მოღვაწეებთან, მრეწველობის, მშენებლობის, სოფლის მეურნეობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების მო-

წინავეებთან, აგრეთვე ლექციებს, მოხსენებებსა და საუბრებს ახალგაზრდობის ინტერნაციონალიზმისა და პატრიოტიზმის სულისკვეთებით აღზრდის მიზნით.

მუხლი 19. სოფლის მეურნეობის კომისია:

ა) ახორციელებს კონტროლს სოფლის მეურნეობის დარგში საბჭოს ყველა ღონისძიების, აგრეთვე კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიერ საწარმოო გეგმებისა და სახელმწიფოს წინაშე ნაკისრ ვალდებულებათა დორულად შესრულებაზე;

ბ) ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის შემდგომ განვითარებას, სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის გადიდებას, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებას, სასოფლო-სამეურნეო მანქანების სარემონტო საწარმოთა, გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ რაიონული განყოფილების სავაჭრო ბაზების მუშაობის შემდგომ სრულყოფას;

გ) ახორციელებს კონტროლს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, მინერალური სასუქებისა და შხამქიმიკატების სწორ გამოყენებასა და შენახვაზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შრომისა და უსაფრთხოების ტექნიკის წესების დაცვაზე;

დ) მონაწილეობს მიწათმოქმედების კულტურის ამაღლების, მიწის სავარგულების სწორი გამოყენების, დაჭაობებული მიწების ამოშრობისა და ათვისების, სარეველებთან და მცენარეთა დაავადებებთან ბრძოლის, ბუნებრივი სათიბებისა და საძოვრების გაუმჯობესების, სწორი თესლბრუნვის შემოღებისა და ათვისების, ყველა სახის ადგილობრივი სასუქების მაქსიმალური გამოყენების, სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დანერგვისათვის ღონისძიებათა გატარებაში;

ე) ზომებს იღებს საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისა და მისი პროდუქტიულობის ამაღლებისათვის, პირუტყვის ჯიშიანობის გაუმჯობესებისათვის, საკვები ბაზის გაფართოებისათვის, მეცხოველეობის ფერმების მშენებლობისა და მექანიზაციის, ზოოტექნიკური და სავეტერინარო სამსახურის გაუმჯობესებისათვის.

ვ) ხელს უწყობს სოფლის მეურნეობაში მოწინავე მეთოდების დანერგვას, შრომატევადი პროცესების მექანიზაციას, საირიგაციო სამუშაოთა გაფართოებას, ნიადაგის ეროზიასთან ბრძოლის გაძლიერებას, წყლის სწორ და გეგმაზომიერ გამოყენებას;

ზ) ახორციელებს კონტროლს კოლმეურნეობის წესდების და კოლმეურნეობის საქმეთა მართვაში დემოკრატიული პრინციპების დაცვაზე;

თ) მონაწილეობას იღებს სოციალისტური შეჯიბრებისა და კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის ორგანიზაციასა და განვითარებაში, შრომის დისციპლინის განმტკიცებაში, კოლმეურნეების და საბჭოთა მეურნეობების მუშამოსამსახურეთა მატერიალური დაინტერესების ამაღლებისა და კეთილდღეობის გაუმჯობესებაში;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი) კონტროლს უწევს საწარმოებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შემსყიდველი პუნქტების საქმიანობას, ეხმარება მათ მუშაობის გაუმჯობესებაში.

მუხლი 20. მრეწველობის კომისია:

ა) ხელს უწყობს საბჭოს სამრეწველო საწარმოთა ხელმძღვანელობასა და მათ მიერ საწარმოო გეგმებისა და დავალებების შესრულების უზრუნველყოფაში, მონაწილეობს სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების გაზრდის მიზნით ძირითადი ფონდებისა და საბრუნავი სახსრების, ადგილობრივი ნედლეულისა და სამრეწველო ნარჩენების გამოყენებასა და აგრეთვე გამოშვებული პროდუქციის ხარისხზე კონტროლის განხორციელებაში;

ბ) ხელს უწყობს სამრეწველო საწარმოებს, მიუხედავად დაქვემდებარებისა, აამაღლონ წარმოების ეფექტიანობა, გაზარდონ შრომის ნაყოფიერება, გააუმჯობესონ მუშებისა და მოსამსახურეების სოციალურ-კულტურული და საყოფაცხოვრებო მომსახურება;

გ) მონაწილეობს საწარმოებში სოციალისტური შეჯიბრებისა და კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის ორგანიზაციასა და განვითარებაში, შრომის მოწინავე მეთოდების, გამოყენებისა და რაციონალიზატორული წინადადებების დანერგვაში, ტექნიკური სწავლების ორგანიზაციაში;

დ) ახორციელებს კონტროლს საწარმოებში შრომის, უსაფრთხოების ტექნიკისა და სამრეწველო სანიტარიის წესების დაცვაზე.

მუხლი 21. ტრანსპორტის, საგზაო მშენებლობისა და კავშირგაბმულობის კომისია:

ა) დახმარებას უწევს საბჭოს სატრანსპორტო საწარმოთა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელობაში, ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების მშენებლობასა და რემონტში, ხელს უწყობს საქალაქთაშორისო და საქალაქო საავტომობილო და ელექტროტრანსპორტის განვითარებას, სახელმწიფო და რესპუბლიკური მნიშვნელობის საავტომობილო გზების მშენებლობასა და სწორ ექსპლუატაციას;

ბ) აკონტროლებს თუ როგორ სრულდება კანონმდებლობა კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სამრეწველო, სატრანსპორტო, სამშენებლო და სხვა საწარმოთა და სამეურნეო ორგანიზაციათა საგზაო სამუშაოებში ჩაბმის შესახებ;

გ) ამოწმებს მგზავრთა მომსახურების მდგომარეობას რკინიგზის სადგურებში, საზღვაო პორტებში, აეროპორტებში, ავტოსადგურებში, თვალყურს ადევნებს ტრანსპორტის მუშაობას და შეიმუშავებს რეკომენდაციებს ტრანსპორტისა და ფეხით მოსიარულეთა მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;

დ) მონაწილეობს კავშირგაბმულობის საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაობისადმი კონტროლის განხორციელებაში, ეხმარება მათ სატელეფონო ქსელის, საფოსტო კავშირის, რადიოფიკაციისა და ტელევიზიის განვითარებაში, კავშირგაბმულობის ხაზების შეკეთებასა და დაცვაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 22. მშენებლობისა და საშენ მასალათა მრეწველობის კომისია:

ა) ხელს უწყობს საბჭოს სამშენებლო ორგანიზაციათა და საწარმოთა ხელმძღვანელობაში, ეხმარება მათ სამშენებლო ობიექტების საექსპლუატაციოდ დროულად გადაცემასა და საწარმოო გეგმების შესრულებაში, მშენებლობაში პროგრესული მეთოდების დანერგვაში, სამშენებლო სამუშაოთა ხარისხის გაუმჯობესებისა და თვითღირებულების შემცირებაში და ადგილობრივი სამშენებლო მასალების უფრო ფართო გამოყენებაში;

ბ) თვალყურს ადევნებს სამშენებლო საწარმოებში და მშენებლობებზე სამშენებლო მექანიზმებისა და საწარმოო სიმძლავრეების სწორ გამოყენებას, სამშენებლო მასალების, ელექტროენერგიისა და სათბობის ყაირათიან ხარჯვას;

გ) ახორციელებს კონტროლს საწარმოებში და მშენებლობებზე შრომის, უსაფრთხოების ტექნიკისა და სამრეწველო სანიტარიის წესების დაცვაზე;

დ) მონაწილეობს ქალაქებისა და სხვა დასახლებული პუნქტების დაგეგმარებისა და განაშენიანების პროექტების განხილვაში, თვალყურს ადევნებს განაშენიანებისათვის გამოყოფილი მიწის ფონდის სწორ გამოყენებას, განაშენიანების ნორმებისა და წესების დაცვას და დასახლებული პუნქტების არქიტექტურულ გაფორმებას;

ე) თვალყურს ადევნებს ადგილობრივი საბჭოების, საწარმოების, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მიერ აშენებული საცხოვრებელი სახლების და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების შენობათა მიღებასა და საექსპლუატაციოდ გადაცემას;

ვ) ხელს უწყობს სამშენებლო ორგანიზაციების მუშახელით უზრუნველყოფას, კადრების მომზადებასა და მათი კვალიფიკაციის ამაღლებას, მუშა-მოსამსახურეთა შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას.

მუხლი 23. სახალხო განათლების კომისია:

ა) ხელს უწყობს საყოველთაო საშუალო განათლების განხორციელებას და სასკოლო ასაკის ბავშვთა აღრიცხვას; პროფესიულ-ტექნიკური, საღამო და დაუსწრებელი სწავლების ორგანიზაციას; წარმოებისაგან მოუწყვეტლივ უმაღლესი განათლების მიღების საქმეს;

ბ) ახორციელებს კონტროლს სკოლებსა და საბავშვო დაწესებულებებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის სწორად წარმართვაზე, ხელს უწყობს მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, მშენებლობას და შენობათა რემონტის დროულ ჩატარებას, სათბობით, ინვენტარითა და მოწყობილობით მომარაგებას;

გ) ეხმარება სკოლებს მოსწავლეთა ესთეტიკურ, ფიზიკურ და შრომით აღზრდაში, ზაფხულის გამაჯანსაღებელი კამპანიის და მოსწავლეებთან სკოლისგარეშე მუშაობის ჩატარებაში;

დ) აკონტროლებს საყოველთაო სწავლების ფონდის სწორად გამოყენებას, ამოწმებს თუ როგორ იცავენ კანონს სოფლად მცხოვრებ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა სკოლაში და სკოლიდან უფასო მგზავრობის შესახებ;

ე) ახორციელებს კონტროლს ბავშვების მოწყობაზე ბავშვთა სკოლამდელა დაწესებულებებში, სკოლა-ინტერნატებში და სკოლებთან არსებულ ინტერნატებში, მონაწილეობს მოქალაქეთათვის სკოლა-ინტერნატებში, სკოლებთან არსებულ ინტერნატებში ბავშვთა რჩენის, აგრეთვე გახანგრძლივებული დღის სკოლებში (ჯგუფებში) ბავშვთა კვების საფასურის გადასახდელზე შეღავათის მიცემის ან ამ გადასახდელისაგან სრული განთავისუფლების საკითხების გადაწყვეტაში.

მუხლი 24. კულტურის კომისია:

ა) ხელს უწყობს საბჭოს კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობის ხელმძღვანელობაში, მონაწილეობს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა მუშაობის, აგრეთვე ისტორიული და კულტურული ძეგლების დაცვის ორგანიზაციისადმი კონტროლის განხორციელებაში;

ბ) მონაწილეობს მოსახლეობას შორის კულტურულ-აღმზრდელობითი მუშაობის ორგანიზაციასა და მხატვრული თვითმოქმედების განვითარებაში, ხელს უწყობს ყოფა-ცხოვრებაში ახალ სოციალისტურ წეს-ჩვეულებათა დანერგვას;

გ) კონტროლს უწევს კულტურის დაწესებულებათა ქსელის განლაგებას და კლუბების, ბიბლიოთეკებისა და კულტურის სახლების შენობების დანიშნულებისამებრ გამოყენებას;

დ) ახორციელებს კონტროლს კოლმეურნეობათა, საბჭოთა მეურნეობათა, საწარმოთა, დაწესებულებათა და სხვა ორგანიზაციათა კულტფონდების სახსრების გამოყენებაზე; კულტურის დაწესებულებათა მშენებლობასა და რემონტში საწარმოების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობებისა და საზოგადოებრიობის მონაწილეობის ორგანიზაციაზე.

მუხლი 25. ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფისა და ფიზიკური კულტურის კომისია:

ა) ხელს უწყობს საბჭოს მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების შემდგომ გაუმჯობესებას, ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების სამკურნალო და პროფილაქტიკური საქმიანობის დონის ამაღლებას, სამედიცინო დაწესებულებათა ქსელის გაფართოებასა და მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას;

ბ) ეხმარება ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს დასახლებულ პუნქტებში სათანადო სანიტარიული წესრიგის დამყარებაში; მონაწილეობს ატმოსფერული ჰაერის, წყლების, ნიადაგისა და ბუნებრივი გარემოს დაცვის წესების, მათ შორის ამ დარგში სანიტარული მოთხოვნების შესრულებაზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელებაში;

გ) მონაწილეობს დედათა და ბავშვთა დაცვასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა ჩატარებაში;

დ) ახორციელებს კონტროლს საწარმოებში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში სამრეწველო სანიტარიის მდგომარეობაზე და ხელს უწყობს ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებს პროფესიულ დაავადებებთან და საწარმოო ტრავმატიზმთან ბრძოლაში;

ე) მონაწილეობს სამედიცინო ცოდნის გავრცელებასა და მოსახლეობაში სანიტარიულ-საგანმანათლებლო მუშაობის ორგანიზაციაში;

ვ) ხელს უწყობს საბჭოს სოციალური უზრუნველყოფის ხელმძღვანელობაში, აკონტროლებს თუ როგორ ხორციელდება კანონი სახელმწიფო პენსიების შესახებ, კანონი კოლმეურნეობათა წევრების პენსიებისა და დახმარების შესახებ, რამდენად სწორად ენიშნებათ და ეძლევათ დახმარება იმ პირთ, რომლებსაც არა აქვთ პენსიის მიღების უფლება, აგრეთვე სწორად ეძლევათ თუ არა დახმარება მრავალშვილიან და მარტოხელა დედებს;

ზ) მონაწილეობს ომისა და შრომის ინვალიდებისათვის, სამხედრო მოსამსახურეების, დაღუპული მეომრებისა და პარტიზანების ოჯახებისათვის, ღრმად მოხუცებული კოლმეურნეებისათვის, კანონით დადგენილი შეღავათებისა და უპირატესობათა მინიჭების კონტროლის განხორციელებაში, აგრეთვე ისეთ საწარმოთა მოწყობაში და მათ მუშაობაზე კონტროლის განხორციელებაში, სადაც გამოყენებული იქნება ინვალიდთა შრომა და ორგანიზებული მათი პროფესიული სწავლება;

თ) აკონტროლებს ინვალიდთა და მოხუცებულთა სახლებში მოქალაქეთა მოთავსების და მათი რჩენისათვის გამოყოფილი სახსრების გამოყენების სისწორეს, ინვალიდთა სახლებში მყოფ პირთა საყოფაცხოვრებო პირობებს;

ი) ხელს უწყობს სპორტულ ორგანიზაციებს ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელ და სპორტულ ღონისძიებებში ჩააბან ფართო მასები; ეხმარება ფიზკულტურულ ორგანიზაციებს სპორტულ-მასობრივი ღონისძიებების ჩატარებაში;

მუხლი 26. ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების კომისია:

ა) ეხმარება საბჭოს სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის შემდგომ განვითარებაში, ახორციელებს კონტროლს სავაჭრო ქსელისა და საზგადოებრივი კვების საწარმოთა სწორ განლაგებაზე;

ბ) აკონტროლებს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მიერ ვაჭრობისა და სანიტარიული წესების შესრულებას, მომხმარებელთა კულტურულ მომსახურებას; მონაწილეობს ვაჭრობის მოწინავე ფორმების დანერგვის ღონისძიებათა განხორციელებაში;

გ) მონაწილეობს სამომხმარებლო კოოპერაციის საქმიანობაზე კონტროლის განხორციელებაში სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების, ველური ნაყოფისა და კენკრის შესყიდვის, შენახვის, ნედლეულის გადამუშავებისა და რეალიზაციის გეგმების შესრულების დარგში;

დ) ხელს უწყობს საკოლმეურნეო ბაზრებზე ვაჭრობის განვითარებასა და გაფართოებას, თვალყურს ადევნებს საკოლმეურნეო ბაზრების კეთილმოწყობისათვის გათვალისწინებული სახსრების სწორად გამოყენებას;

ე) მონაწილეობს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოთა მშენებლობის გეგმების შესრულებაზე კონტროლის განხორციელებაში;

მუხლი 27. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების კომისია;

ა) ეხმარება საბჭოს მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაციებისა და საწარმოებისადმი ხელმძღვანელობაში, მათ მიერ საწარ-

12/96

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო რესპუბლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოო-ფინანსური გეგმების შესრულებაში, შიდარეზერვების გამოვლინებასა და გამოყენებაში, საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებში ახალი ტექნიკის ათვისებაში;

ბ) მონაწილეობს საყოფაცხოვრებო ტექნიკითა და ხელსაწყოებით სარგებლობის კოლექტიური ფორმების ორგანიზაციაში, მომსახურების ბიუროებისა და აგრეთვე მომსახურების ახალი სახეობებისა და ფორმების დანერგვაში;

გ) აკონტროლებს საყოფაცხოვრებო მომსახურების ხარისხს, კულტურას, საწარმოების მიერ მომსახურების პრეისკურანტების სწორად გამოყენებას;

დ) მონაწილეობს საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა და ორგანიზაციათა შექმნასთან, რეორგანიზაციასა ან ლიკვიდაციასთან, აგრეთვე საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროში დასაქმებული მუშებისა და მოსამსახურეების შრომის პირობების გაუმჯობესებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში;

ე) მონაწილეობას იღებს საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაციათა და საწარმოთა კოლექტივებს შორის სოციალისტური შეჯიბრების ჩატარების ორგანიზაციაში.

მუხლი 28. კომუნალური მეურნეობისა და კეთილმოწყობის კომისია:

ა) ეხმარება საბჭოს კომუნალური მეურნეობის ხელმძღვანელობაში, აგრეთვე დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობაში, ელექტროქსელების, წყალსადენის, კანალიზაციის, თბო-გაზის ქსელებისა და ნაგებობების ექსპლუატაციაში;

ბ) მონაწილეობს საბინაო ფონდის მდგომარეობასა და სწორ ექსპლუატაციაზე, აგრეთვე კოოპერატიული და მოქალაქეთა პრადი საკუთრების საცხოვრებელი სახლების მდგომარეობაზე კონტროლის განხორციელებაში;

გ) მონაწილეობს საცხოვრებელი სახლების საექსპლუატაციოდ მიღებაჩაბარებაზე, სახელმწიფო, კოოპერატიული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციების სახლებში ბინების სწორ განაწილებაზე კონტროლის განხორციელებაში;

დ) მონაწილეობს საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების ჩამოყალიბების ოაობაზე გადაწყვეტილებების მომზადებაში და ხელს უწყობს კოოპერატიული საბინაო მშენებლობის განვითარებას;

ე) მონაწილეობს დასახლებული პუნქტების კეთილმოწყობისა და გამწვანების, საბჭოთა არმიის დაღუპულ მებრძოლთა და პარტიზანთა საფლავების, აგრეთვე სასაფლაოების კეთილმოწყობის სამუშაოებში მოსახლეობის ჩაბმის საქმეში.

მუხლი 29. ბუნების დაცვის კომისია:

ა) ხელს უწყობს ბუნებრივი სიმდიდრის და წყლის რესურსების დაცვას, მათ კვლავწარმოებასა და რაციონალურ გამოყენებას;

ბ) იღებს ზომებს წყალსატევებისა და ატმოსფერული ჰაერის გაბინძურებისაგან დასაცავად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) ხელს უწყობს ქალაქებში, დაბებსა და სხვა დასახლებულ პუნქტებში გამწვანების სამუშაოების ჩატარების, საგარეუბნო მწვანე ზონებსა და საკურორტო ადგილებში ლანდშაფტის დაცვისა და მოვლის ღონისძიებათა განხორციელებას;

დ) იღებს ზომებს ფაუნის ძვირფასი და სასარგებლო სახეობების დაცვისა და გავრცელების უზრუნველყოფისათვის, ნადირობის და თევზის ჭერის წესების დაცვისათვის;

ე) ხელს უწყობს ეროზიის საწინააღმდეგო კომპლექსური ღონისძიებების განხორციელებას; სათიბებისა და საძოვრების გაუმჯობესებასა და გამოყენებას, მინდორსაცავი ტყის ზოლების შექმნას;

ვ) დახმარებას უწევს ბუნების დაცვის, მონადირეთა და მეთევზეთა ნებაყოფლობითი საზოგადოებების ადგილობრივ ორგანიზაციებს მუშაობაში;

ზ) მონაწილეობს ნაკრძალების, სახელმწიფო და საკოლმეურნეო ტყეების დაცვის გაუმჯობესების ღონისძიებების შემუშავებაში.

IV. მუდმივი კომისიების მუშაობის ორგანიზაცია

მუხლი 30. საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საოლქო, რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული, სასოფლო და სადაბო საბჭოების მუდმივი კომისიები მუშაობენ კომისიების სხდომებზე დამტკიცებული გეგმების შესაბამისად.

მუხლი 31. მუდმივი კომისიების სხდომებს იწვევენ კომისიების თავმჯდომარეები საჭიროების მიხედვით, მაგრამ ორ თვეში ერთხელ მაინც.

მუდმივი კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება კომისიის შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

კომისიის სხდომებზე ყველა საკითხი წყდება ღია კენჭის ყრით კომისიის წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით. კომისიის წევრებს, რომლებიც არ ეთანხმებიან კომისიის გადაწყვეტილებას, თავისი წინადადებები შეუძლიათ დაიცვან საბჭოს სესიაზე.

მუხლი 32. მუდმივ კომისიებს შეუძლიათ ჩაატარონ გაერთიანებული სხდომები იმ საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია რამდენიმე მუდმივი კომისიის მუშაობასთან, შეუძლიათ აგრეთვე მოაწყონ გამსვლელი სხდომები.

რამდენიმე მუდმივი კომისიის გაერთიანებული სხდომების ჩატარებისას გადაწყვეტილებას იღებენ თითოეული კომისიის წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით.

მუხლი 33. მუდმივი კომისიის სხდომებში მონაწილეობის მიღება სათათბირო ხმის უფლებით შეუძლია შესაბამისი საბჭოს დეპუტატს, რომელიც არ შედის ამ კომისიის შემადგენლობაში.

მუხლი 34. მუდმივი კომისიის სხდომებზე შეიძლება მოიწვიონ საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სხვა სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სამეცნიერო დაწესებულებების წარმომადგენლები, სპეციალისტები და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცნიერები, რომლებიც კომისიის სხდომებში მონაწილეობენ სათათბირო ხმის უფლებით.

მუხლი 35. მუდმივი კომისიები ადგენენ თავიანთი სხდომების ოქმებს, რომლებსაც ხელს აწერენ თავმჯდომარე და მდივანი, ხოლო ერთობლივი სხდომების ოქმებს — შესაბამისი კომისიების თავმჯდომერეები და მდივნები.

მუდმივი კომისიის გადაწყვეტილებებსა და დასკვნებს ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე და მდივანი.

გადაწყვეტილებებს, რომლებიც მიღებულია მუდმივი კომისიების მიერ ერთობლივად და მათ მიერ ერთობლივად მომზადებულ დასკვნებს ხელს აწერენ შესაბამისი კომისიების თავმჯდომარეები და მდივნები.

მუხლი 36. მუდმივი კომისიის თავმჯდომარე:

იწვევს კომისიის სხდომებს და ორგანიზაციას უწევს მათს მომზადებას;

კომისიის სხდომებში მონაწილეობიათვის იწვევს საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების, კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობათა წარმომადგენლებს და აგრეთვე აქტივისტებს;

კომისიის სახელით ამყარებს კავშირს სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან;

ორგანიზაციას უწევს მუშაობას კომისიის რეკომენდაციათა შესასრულებლად.

მუხლი 37. მუდმივი კომისიის თავმჯდომარის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარის არყოფნის დროს (მივლინება, შვებულება, ავადმყოფობა და ა. შ.) ასრულებს თავმჯდომარის ყველა მოვალეობას, რაც გამომდინარეობს 36-ე მუხლიდან, აგრეთვე ასრულებს ფუნქციების განაწილებისას მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს.

მუხლი 38. მუდმივი კომისიის მდივანი უზრუნველყოფს კომისიის რეკომენდაციების დაყვანას დაინტერესებული საწარმოების, ორგანიზაციების, დაწესებულებების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისადმი; პასუხს აგებს საქმისწარმოების მდგომარობაზე.

მუხლი 39. მშრომელთა დეპუტატების საოლქო და რაიონული საბჭოს დეპუტატი მუდმივი კომისიის სხდომების დროს, რომლის შემადგენლობაშია იგი არჩეული, თავისუფლდება საწარმოო ან სამსახურებრივი მოვალეობისაგან და ენახება საშუალო გამომუშავება (ხელფასი) მუდმივ სამუშაო ადგილზე.

V. მუდმივი კომისიების ურთიერთობა ადგილობრივი საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან

მუხლი 40. მუდმივი კომისიები მჭიდროდ თანამშრომლობენ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტებთან და ეხმარებიან მათ სახელმწიფო, სამეურნეო და სოციალურ-კულტურული მშენებლობის ამოცანათა გადაჭრაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები:

ა) სესიებს შორის პერიოდში კოორდინაციას უწევენ მუდმივი კომისიების მუშაობას.

ბ) ჩააბამენ მუდმივ კომისიებს იმ საკითხების მომზადებაში, რომლებსაც განიხილავენ საბჭოს სესიებსა და აღმასკომის სხდომებზე;

გ) გააცნობენ მუდმივ კომისიებს ზემდგომი სახელმწიფო ორგანოების უმნიშვნელოვანეს დადგენილებებს, აგრეთვე თავიანთ გადაწყვეტილებებსა და სამუშაო გეგმებს;

დ) აღმასრულებელი კომიტეტის სხდომებზე იწვევენ იმ მუდმივი კომისიების თავმჯდომარეებს, რომელთა საქმიანობას ეხება განსახილველი საკითხები;

ვ) საჭიროების შემთხვევაში იღებენ სათანადო ზომებს კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობების, საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მიერ მუდმივი კომისიების რეკომენდაციათა განხორციელებისათვის;

ვ) განაზოგადებენ კომისიების მუშაობის საუკეთესო ფორმებსა და მეთოდებს;

ზ) ეხმარებიან მუდმივ კომისიებს დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების, აგრეთვე აღმასრულებელი კომიტეტების განყოფილებებისა და სამმართველოების მუშაობის შემოწმების ორგანიზაციაში;

თ) განიხილავენ წინადადებებს, რომლებიც მუდმივ კომისიებს შეაქვთ აღმასრულებელ კომიტეტებში და განხილვის შედეგებს, არაუგვიანეს ორი კვირის ვადაში, შეატყობინებენ კომისიებს;

ი) საბჭოს განსახილველად შეაქვთ საკითხები ცალკეული მუდმივი კომისიების მუშაობის შესახებ.

მუხლი 41. მშრომელთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტები უზრუნველყოფენ მუდმივი კომისიების ორგანიზაციულ-ტექნიკურ მომსახურებას და მათი საქმისწარმოების შენახვას.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს
პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

155 ამხ. ი. შ. ზედგინიძის საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრად დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. ილია შალვას ძე **ზედგინიძე** საქართველოს სსრ ჯანმრთელობის მინისტრად.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 7 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

156 ამხ. შ. ა. სალარიძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გათავისუფლდეს ამხ. შალვა ალექსანდრეს ძე **სალარიძე** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრააფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 7 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

157 ამხ. ა. ა. დვალიშვილის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. აკაკი არჩილის ძე **დვალიშვილი** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 7 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

158 ამხ. ბ. თ. დილიძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან გათავისუფლების შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

გათავისუფლდეს ამხ. გიზო თევდორეს ძე დილიძე საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 21 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

159 ამხ. გ. პ. ზედგინიძის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ დანიშვნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

დაინიშნოს ამხ. გიორგი პლატონის ძე **ზედგინიძე** საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარედ.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 21 აგვისტო.

განკოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

160 საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული საბჭოთა თეატრალური და მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში დამსახურებისათვის მიენიჭოთ **საქართველოს სსრ სახალხო არტისტის საპატიო წოდება:**

1. ექვთიმე იცკას ძე **ბაიკოვსკის** — ა. გრიბოედოვის სახელობის თბილისის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.
2. ოთარ ვახტანგის ძე **მელვინეთუხუცესს** — რუსთავის სახელმწიფო დრამატული თეატრის მსახიობს.
3. გურამ გიორგის ძე **საღარაძეს** — შ. რუსთაველის სახელობის თბილისის სახელმწიფო დრამატული აკადემიური თეატრის მსახიობს.
4. ზურაბ ლავრენტის ძე **სოტკილავას** — ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტს.
5. ცისანა ბეჟანის ასულ **ტატიშვილს** — ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტს.
6. არჩილ ივანეს ძე **ჩიმაკაძეს** — კომპოზიტორს.
7. გიორგი გაბრიელის ძე **ცაბაძეს** — კომპოზიტორს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 10 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

161 საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ფიზიკური კულტურისა და სპორტის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, მიენიჭოთ **საქართველოს სსრ ფიზკულტურისა და სპორტის დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება:**

1. არკადი ნიკოლოზის ძე **არხანგელსკის** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის მთავარ მწვრთნელს.

2. გრიგოლ ათანასეს ძე **გაგუას** — თბილისის ოსტატ ფეხბურთელთა „დინამოს“ გუნდთან არსებული მოსამზადებული ჯგუფის უფროს მწვრთნელს.

3. ლევან გრიგოლის ძე **გიორგაძეს** — საქართველოს ფიზკულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის კათედრის გამგეს.

4. ოთარ ვლადიმერის ძე **ვახანიას** — სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდის კათედრის გამგეს.

5. გიორგი ნესტორის ძე **კალანდაძეს** — ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „განთიადის“ აჭარის საბჭოს საწყლო-საჯომარდო სადგურის დირექტორს.

6. დიმიტრი იოსების ძე **კაპცოვს** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის განყოფილების გამგეს.

7. თენგიზ გრიგოლის ძე **კაჭახიძეს** — ა/კ რკინიგზის ნებაყოფლობითი სპორტული საზოგადოება „ლოკომოტივის“ საგზაო საბჭოს თავმჯდომარეს.

8. ნიკოლოზ პლატონის ძე **ლაპარტყავას** — საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კათედრის გამგე.

9. შოთა ბესარიონის ძე **მამინაშვილს** — აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს.

10. ნესტორ ნესტორის ძე **მუსასტიკოვს** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის მთავარ მწვრთნელს.

11. ვალერი ბორისის ძე **ეურულს**

12. გიორგი კალისტრატეს ძე **სვანაძეს** — ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს.

13. თეიმურაზ ნიკოლოზის ძე **ფურცელაძეს** — ნიჩბოსნობის საქართველოს ფედერაციის თავმჯდომარეს.

14. ლევ ვიქტორის ძე **ძეკონსკის** — თბილისის ოსტატ კალათბურთელ ქალთა გუნდის „ბურევესტნიკის“ უფროს მწვრთნელს.

15. სერგი შოთას ძე **ჯაიანს** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის განყოფილების გამგეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

16. გაიოზ ივანეს ძე **ჯეჯელავას** — საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილეს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 21 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

162 საქართველოს კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ქართული მხატვრული ლიტერატურის თარგმნის დარგში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის მიენიჭოთ **საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებული მუშაკის საპატიო წოდება**

1. ელიზბარ გიორგის ძე **ანანიაშვილს** — მწერალს.
2. ელენე დავითის ასულ **ღოღობერიძეს** — მწერალს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 2 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

163 ამხ. მ. ა. გვასალიას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის მინისტრის მოადგილე ამხ. მიხეილ ანტონის ძე **გვასალია** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 2 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

164 ამხ. გ. პ. ბრეგვაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცწლეულთან დაკავშირებით, ზესტაფონის რაიონის სოფელ მეორე სვირის კოლმეურნეობის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. გიორგი პავლეს ძე **ბრეგვაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 8 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

165 ამხ. ზ. პ. ჩიქვილაძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

კავშირგაბმულობის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, სატელეფონო სადგურის ტელეფონისტი ამხ. ზინაიდა პავლეს ასული **ჩიქვილაძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 8 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

166 ამხ. ა. მ. რაბინოვიჩის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პრესის ორგანოებში ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოცწლეულთან დაკავშირებით, გაზეთ „ვეჩერნი თბილისის“ რედაქციის განყოფილების გამგე ამხ. არონ მარკის ძე **რაბინოვიჩი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 15 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

167 ამხ. რ. გ. შანიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ და საბჭოთა ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე ამხ. რაფიელ გიორგის ძე **შანიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 15 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

168 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ნ. ვ. გაბაშვილის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ნიკოლოზ ვასილის ძე **გაბაშვილი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 29 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

169 საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ნ. პ. ვეკუას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოც წელთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ნიკოლოზ პეტრეს ძე **ვეკუა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 29 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

170 პროფესორ ი. ი. მირცხულავას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის, დაბადების სამოცწლეულთან დაკავშირებით, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ილია იორდანეს ძე **მირცხულავა** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 29 აგვისტო.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

171 ამხ. ნ. ი. ციციშვილი-ვაშაკიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

ჯანმრთელობის დაცვის ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ოთხმოცწლეულთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი, პერსონალური პენსიონერი ნინო იოსების ასული **ციციშვილი-ვაშაკიძე** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი, 1973 წლის 29 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მესამე

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში ცვლილებების შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1973 წლის 8 აგვისტოს ბრძანებულებით გაუქმდა საქართველოს სსრ გარდაბნის რაიონის სოფელი ოქროყანა ქ. თბილისის კალინინის რაიონთან ტერიტორიულად შეზრდის გამო.

გარდაბნის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს დეპუტატს № 51 საარჩევნო ოლქიდან შენარჩუნებული აქვს რწმუნებანი ქ. თბილისის კალინინის რაიონულ საბჭოში.